ახლა გადავიდეთ საქართველოს-სომხეთის ქვეყნებში, რომელნიც მეექვსე საუკუნის ვასლამდის აღიარებდნენ ერთსა და იმავე მართლმადიდებელს სარწმუნოებას და ჰქონდათ თითქმის საერთო წესწყობილება საღვდლოებისა. იმ დროს საქართველოსა და სომხეთის ეკლესია ერთი და იგივე ეკლესია იყო, დამოკიდებული ანტიოქიის პატრიარხისაჲან. წმინდა გრიგორი სომხეთის განმანათლებელი და მისი მემკვიდრები სიყვარულით უცქეოდნენ საქართველოს ეკლესიას და ერთი მფორეს შემწყობით აერცლებდნენ აღბანიაში, რომელიც სომხურად იწოდება ალგანიად, ქრისტიანობას და ჰქონდათ იქ საერთო ეპისკოპოსების გამკეობა განართული. მაშინდელი ალგანია დღეს შეიკავს კახეთს, ნუხის მაზრას და დაღესტანს დარუბანდამდის, ანუ კასპიის ზღვამდის. იმ დროს როგორც საქართველოს ქათალიკოსები და ეპისკოპოსები, ისე სომხებისაც ცოლიანები იყვნენ და ეპისკო-

³⁾ იხილეთ ისტორია христiанской церкви Джемса Робертсона, переводъ съ англ. Лонхуна.

⁴⁾ იხილეთ Исторiя Христiанской церкви Джемса Робертсона. т. 1, ст. 278.

⁵⁾ იხილეთ იგივე თხზულება გვერდი 283.

⁶⁾ იხილეთ იგივე თხზულება, გვერდი 284.

⁷⁾ იხილეთ Исторiя Христiанской церкви Джемса Робертсона стр. 998. т. 1.

⁸⁾ იხილეთ Исторiя Христiанской церкви Джемса Робертсона стр. 1006. т. 1.

პოსობა მემკვიდრეობით გადადიოდა მამიდან შვილზე.⁹⁾

„ამას შემდეგ—ამბობს მოსე ხორენელი, მცხეთე საუკუნის ისტორიკოსი—მოკვდა ეპისკოპოსთა უფროსი ასურაკისი და ხსარობ დანიშნა მის აღგილზედ საცი, ძე ნერესი დიდისა, ძისა ათანაგინისისა, ძისა წმინდის გრიგოლისისა...“

„სააცი განავებდა საერო საქმეთა, ვითარცა მთავარი საფოსისა...“

„ერაშმა დანიშნა საციის წინააღმდეგ მღვდელმთავრად სირიელი შმუელი—და მიანდო მას, რომ მის გამკეობაში ყოფილიყო სახელმწიფო ხარჯის მოკრევა, სამოსამართლო დაწესებულება და სხვა საშუალოაქო წეს-წყობალება“.¹⁰⁾ აქედან ცხადთ სჩანს, რომ ღვდელმთავარი შმუელი ყოფილა აგრეთვე საერო გამგებელი, ესე იგი ის ყოფილა ერისთავიცა და მღვდელმთავარიც თვის სამწყსოსი.

„ჩრდილო-აღმოსავლეთის გამგებელთა სთხოვესო მეფეს ურდატეს დანიშნა მათთვის მღვდელმთავრად გრიგორისი, შვილი ვარტანესისა. ტრდატმა გავგზავნა გრიგორისი და თან გაყოლა იმ ქვეყნის მფლობელი სანატარუკ არწრუნი. გრიგორისი შეიქნა ღრისი გამგე და მემკვიდრე თვითან სახელოვანის მამასისა, ხოლო მოქმედებით თვით მეფეს შეედრებოდა.“¹¹⁾ როდესაც მოვიდა ამბავი მეფის სიკვდილისა, ადგილობრივის მთავრის შთამომავალთა სანატარუკმა და სხვა ალოვანის (ალბანის) ღვდელმთავრად მოჰქალის ნეტარი კაცი, ცხენებს დაავლეჯინეს ვატნიანის მინდარზედ კასპის ზღვის მახლობლად.“

აქედან ცხადად სჩანს, რომ მღვდელმთავარი გრიგორისი მეფეს დაუნიშნავს ალოვანში (ალბანიაში, ახლანდელს ნუხა-დაღესტანში) მღვდელმთავრად და აგრეთვე ერისთავად, რომ მას მოეკ-

ცია ქრისტეს სარწმუნოებაზე ის ქვეყანა და როგორც ერისთავს განეგო კიდევ ეს მხარე“. ადგილობრივი მემკვიდრენი ვერ შეურიგდენ ასეთს მეტოქობას ეპისკოპოსისსა და, რა საეკერეულია, როგორც დროს იშოვნიდენ და თვისუფლებას, მაშინვე მოახდენდენ განდგომილებას და გადმოვალებდენ ტახტიდან სომხის მეფის დაყენებულს ერისთავს და მასთანვე ეპისკოპოსს.


ამ გარემოებას უფრო ნათელს ჰყენს ბროსეს, გამოკვლევა წაწარებზედ.¹²⁾

„პტოლომოსს ამბობს, რომ წაწარები ცხოვრებენ ალბანიელების ზემოთა, ესე იგი ალბანიიდან ჩრდილოეთითა“, უნდა ვივულისხმობთ ახლანდელი ფშავ-ხევისთისა, თუშ-ქისტურის ქვეყნები. „პტოლომოსის ცნობა ბიზანტიელ მიესტორიეთა ცნობასაც ვთანხმებოა“ — ამბობს ბროსეს:

„არხონი ანუ წაწართა მთავარი ცხოვრებს ალბანია და წაწარის შუა“. მეათე საუკუნის არაბთა ისტორიკოსი მასსული პირ-დაპირ ამბობს, თუ რა ერეკა ამ მთავარს. მასსული იმავე დროს ცხოვრებდა, როდესაც იმპერატორი კოსტანტინე პოროფიროვანი იყო. იგი ამბობს: „იმ ქვეყნებს შორის, რომელთაგან ნახევარი ქრითიანია და ნახევარი კრთათაყვანის მცემლობითა, როგორც მავალითად შამშა, რომელსაც მეფე არა ჰყავს, და დერბენდი, მდებარებს წაწარის ქვეყანა, რომლის მეფეს სახელწოდება აქეს ქარაქოსა—ქარ-ენსკაპოპოსა“.¹³⁾...

მე გვინდა ამაზე სიტყვად თანამედროვე მიესტორიეთა მოწმობისა აღარ შეიძლება. თვით თანამედროვე არაბთა ისტორიკოსი მასსული, რომელიც აღასარებულია ძალიან ბევრთ მწერლად, ამტკიცებს, რომ წაწარების მეფე იწოდებოდა ქარიოკოხად, ანუ ქარ-ებისკოპოსად. მაშასადამე ეს ორი სატყუა ერთად და იგივე მნიშვნელობის უნდა ყოფილიყო.

გ. წერეთელი.
(შემდეგი იქნება)



შინ მიუსვლელი გლეხი

სურათი გლეხან ცხოვრებადან.

(შეგირდაბის მოკვანება)

მგელასაგან აუტანელი და მკაცრი, ძლიერი სუსხიანი ზამთარი იდგა წყნელ წელს. იგი სრულს თვის ძალ-ღონეს იჩენდა ბუნე-
ბაზედ: თოვად გადაუდებლად რამდენიმე ღღე ზედი-
ზედ და ჰქროდა საშინელი ცივი—ტყვიასავით გამ-
გმირი გრიგალი-ქარი, რომელიც ერთი-ორად უმა-
ტებდა ამ ბუნების მდგომარეობას სიმკაცრეს და აუ-
ტანლობას. ამბავი, რომელიც უნდა ვაცნობო მკი-
თხეველს გუჟღერის სწორედ ამ დროს, როდესაც შუეს

ვერ დაეხენდა დედა-მიწისთვის და ვერ შეებედნა თვისი ძალ-მოკლებული სხივებით, რომ ცოტათი მაინც გაეღობო შავი, მიწით გადაფენილი ქარისაგან, გათო-
შილი თოვლი. ეს დრო იყო შუა იანვარი, როცა სა-
შობაოთ შინ დათხოვნილი შეგირდი, დაგვიანებული ყინვების გამო, მოვეშურებოდი ქალაქისაკენ, რადგა-
ნაც მეტი დაგვიანება აღარ შეიძლებოდა.

ამ დროს დილიჯნები თითქმის არც კი დადიო-
დენ და ერთად ერთი საშუალება-და იყო უქონელი კაცისათვის ფურგუნით მგზავრობა. ამისათვის ჩამო-

¹¹⁾ იხილეთ მოსე ხორენელის ისტორია, წიგნი III, გვერდი 224.

¹²⁾ Collection D'Historiens armeniens t. 1, crp. 609.

¹³⁾ „Entre le pays moitié chrétien, moitié payens de Samsaha, sans roi, et Derbend, est celui des sanariens, dont le roi est titré Kereskous — Korévéque“ Appendice du Colect. d'Historiens etc. p. 609.

⁹⁾ იხილეთ მოსე ხორენელის ისტორია, წიგნი III, გვერდი 205.

¹⁰⁾ იხილეთ მოსე ხორენელის ისტორია, წიგნი III, გვერდი 166.

ველი ჩვენ სოფლის ბოლოს საფოსტო გზა - შარა-ზე ლუქაში, საცა მეფურგუნები თავს იყრან ხალხით ლამაზობით, გავუჩოვდი ფასს და, ირატყავა თუ არა, დატყობილ ფურგუნებს ვაჰქონდათ ჭრილი საქალაქო გზაზედ.

ძალიან კუღრ დღე დავიღვა სამეზაგროთ, ნანადრად თავი არ ამოძიყვია, ისე ვიყავ შიგ წახვეული, რადგან ქარი თან-და-თან უფრო უმეტებდა ბერვისს, პირ-და-პირ მომზოლდა და მით უმეტებდა წინ სელას ცხენებს მძიმე ტვირთიანა. როგორც იყო მივალწიეთ ივრის ხილს, შუა-დღე გადასული იყო კიდევ და რა შეუხვიეს მეფურგუნებსა სადგომ გზაში, და-ღლილ-დაწყვეტილებმა პირველად ცხენებს მისცეს საზრდო და მერე თითონ შემოაუსხდნ სამოვარს და დიდი სიამოვნებით სეპადნენ მდულარეს. მე, როგორც შვირდის, წამოდებულნი მქონდა შინიდან ერთი კარგი ხურჯინი გამტკიცული შოთები, ლავა-მანხუჭები, ერთი ინდური და რამდენიმე ქათამი, ასე რომ მე იმათ ჩიხს უჭირს არ ეუფდეს და მეც მათთან დენაყარ-ლი. კარგად რომ შეისვენეს თითონ და ცხენებმაც, ხელ-ახლად გავუღვიეთ გზას და ფურგუნები შევიყვანა ხანაშუალის აღმართს, რომელიც ცოტა უამინდობა-შიაჲ კი სადავგოი სავალია და ამისთანა ქარტყე-ნილი ხომ, როგორც ჩვენი მეზავობა იყო, იმერ-თმა დაიფაროს. სხეგან რომ ქარი ნახსად არ იყოს, აქ მინც არე-მარეს ჰვლევავს და ამისათვის საცო-დავი და გულ-საწყევლო სანახავია ამ მთის კალთე-ზე ნათესი მინდრები. ხშირად თვალს კრემლი მოეჩვენება, რომ დაინახავს კაცს ნაშრომ-ნადგავს გლე-ხისა, სულ ამოვდებულს და აზრებულს ქარისავე, თითქო აქ არაფერი მდგარაო და თუ მოსახანს სად-ღე ნახნაემი აქა-იქა ან ყანა, ან სინილი, თითქო ნიშნად მწუხარებისა, რომ აქ ყოფილა კარგი მოსა-ვალი, მაგრამ ქარს ამოუფლიდაო. აი, ამისთ გულ-საკლავს სურათს უხსატეს ხოლმე კაცს ანისთანა მკაცრ ამინდში ხშირად მოხუზუნენ და თავისუფლად მინაივარდენ უფრო. როგორც იყო ამოვდიეთ მთის წვერზე, საცა უფრო ძლიერად ჰქრებადა შემოჩვეუ-ლი სტუმარი. შეზინდა კიდევ, მაგრამ ბინა ჯერ შორი იყო, საცა უნდა გავვეთია ღამე. იქნებოდა ღამის თერთმეტი საათი, ირადესაც ნამძინარევი გამო-ლაღივდეს და მთხოვეს ოთახში შეესულიყავ. ვივრძენ, რომ მიესულვარ ალავას და ახლა კი ცოტა მოსვენ-ებით დავიძინებ-მეთქი. შეზინდეს ჩემი ბარჯი ოთახ-ში, რომელიც წელიწადში, თუ არა ეცდებოდა, ერთ-ხელ ივება ხოლმე და იქ ძილი ყოვლად შეუძლებელია უქმინდურებისა და უსუფთაობისა გამო. მე-ტრია ლოქე იყო, მეც უნდა დავმორჩილებოდი იმოდენა ხალხის ბედს, რომ მოვხვას ტახტები და ძირ-საც ალაკი სულ დაქერილი ჰქონდათ და სიამოვნე-ბით ხეივანდენ. როგორც იყო მივეწქე ერთს ტახ-ტის კუთხეში და ჩამთვლიმა ცოტათი იმედი გქონ-და, დამძინებოდა დალილოს, მაგრამ ხვამ მელსა-კლავმა, რომელსაც პირველ შემოსვლაზე ოთახში უჭირს არ ეთხოვრებ, ახლა მთლად შევიპრო ჩემი გო-ენება და დავაპრკინა ძილი. ხმასთან ერთად დავუ-გდე ყური საშინლად გამძინვარებულს ქარს, რომე-ლიც შეუბრალელოდ ეხლებოდა შუა-ჩამტყვერულს ფანჯრებს და გრილილი შემოჰქონდა შინ. ამ ქარის

ღლილითან მომეხმა ვილაღის გულიდან ამონავლე-ჯი ღობა ოხრა-კენებს და ვაის ძახლიოვ მე სრულე-ბით ვერ წარმოვიდგენდი, თუ ადამიანს შეეძლო ასე გულით კენესა და ტანჯვა. მაგრამ შემდეგში დაერ-წმუნდი, რომ ეს კენესა იყო სულით და გულით დატანჯული და ბედისგან განწირულის კაცისა.

ვამბობდი, ნეტავ ვიყოლ, ან შემეძლოს რაემ შევლა, რომ ხელი გავმართო და უშველო საწყალს, ალბათ ძირელ გაჭირვებული მგზავრია-მეთქი.

ამ ფურგუნში ვართული ძალიან დადილავ და ჩამეძინა, რადგანაც საწყალის კენესა, ცოტა არ იყოს, მიყურენ.

გათვინებულეიყო და გამომეღვიდა. შევინიერი შვე დაჰყურებდა დედა-მიწას; იმედი იყო, რომ უნდა ემო-ქმენდა გაყინულ მიწაზე და გაეთბო ჰავრი, მაგრამ უფრო უარესათ გრიალელს საშინელი ქარი და ჰვი-ნავდა ისევ სეკამათ გაყინულს ბუნებას. ჩაი რომ ჰყო-ლიეთ, შემდეგ სრული რეა საათი იყო, რომ გზას გაუ-ღვიეთ, მაგრამ ვაი იმ მეზავრობას! ხელათ დავიყუ-ნენით: ვერც ხელს ვანძრევდით, ვერც ფეხს, ცხვი-რის მოწმენდაც კი გვიძინებდებოდა. აი, გამოვდიეთ კიდევ სამგორზე და აქ უნდა გენახათ, რა სისწრა-ფით მოქმენებოდა ქარი ჩვენს პირდაპირ, რომელიც ლაწა-ლუწით ეხლებოდა ფურგუნს, ტილოთ გადა-კრულს ჩარდახებს. ენატრობდით გზის დამოკლებას, მაგრამ, თითქოს გვეჯიბრებოდა, ის უფრო გძელე-ბოდა და ვეისივდებოდა.

აუღლებული კაცივით ქვა შუა სამგორში, რომელსაც ხალხი ეძახის „ქვა-კაცას“, აცნობებს ხოლმე მეზავრს, რომ მას ვაღლილი აქვს სანევერი მამძილი თვალ-უწმენველის მინდრისა, და ჩვენც რომ დავი-ნახეთ ქვა ვავიფიქრეთ იგივე. ეს ქვა-კაცა დაღმე-ულია ნიშნად იმისა, რომ ვრეკლე მეფეს გაჰყავდა თურმე ეს უზარ-მაზარი არხი მდ. ივრისა და სოფ. ხაშმის ბოლოდან უპირის უწყლო მინდრებზე, რო-გორც თვით ზედ-წარწერა ამტკიცებს ამას:

„დაღვნილ არს სახსოვრად იორის არხის დასრუ-ლებისა ჩემითსა წელსა, მეგობრას იმპერატორისა ნიკოლოზის პირველისა, ფაშას, ნაშეტნიკობისა კნა-ზის ვარანკოვისა.“

„არხი ეს დაწყებულ იყო მეფის ირაკლი მეო-რის მიერ.“

გარდა ამისა რომ ყველა ეს რუსულად აქ არს ზედ-დაწერილი, სწერია კიდევ: „Хозяйственною частью Завѣдывалъ Тифлисскій Гражданинъ Зальцманъ.“

აი, დაუჭირდაპირით კიდევ და შევინაშნეთ, რომ ვილაღ მოკუნტებოდა, რადაც კუნძივით ილა ქვის ძირში. მომესმა აქ უფრო საშინელი კენესა და ეხო-ლების კრახუნი. ვეღარ ვაძევილი, მთლად დავიტანჯე და გადაეტტი ფურგუნებიდან სანახავად. აქ იწეა მართ-ლა კაცი—ადამინი, მიღწეული პირუტყვის მდგომა-რეობამისა. სახაელი და შესაბრალისი სურათი წამოუღებოდა კაცს მის დანახავზედ. მთლათ ფეხ-შიშველას საწყალს დაღლევილი ქალაშენი ესეო გვერდზედ, ფეხები საშინლად ჰქონდა დამსქდარი, დახე-თილი ბევრი სიარულისგან ყინვა-სიციველი. შარ-ვალი ეყო დახეულ-დაკონკრეული და ჩოხა-ახალუსს კი ნულარ მჭიობდა. ჩოხა-ახალუსი სად ეცეა საწ.

ყალბ? მითით შემოგლეჯილი ჰქონდა ტანზედ და უჩანდა ტიტყველა სიცივისაგან ვალურჯებულთ ზორცი. ნაგლეჯები, რომლებიც აქა-იქადა ეკრა: კისერზე, შუა ზურგზე და გულზე. ალაგ-ალაგ კალთები ამტკიცებდნენ, რომ საწყალს ოდენსე სტმია ახალი და ახლა კი შემოპლეჯვრა სიღარიბისგანაო. თავზედ ცხურა დაგლეჯილიე ნაბდის ქული და გვერდზედ ეწყო ძველი ყაბალახი და ხურჯინი. აი, მთელი ტანის-საცემელი, ანუ სიმღიღიე ჩენნი გავიერებული მგზავრისა. მის გარეგან სურათს, რომ დაუმატროთ რამდენიმე დღის შიმშილ-წყურბული და სულიერი ტანჯვა თვალ წინ წარმოგიდგებათ, უუბედურესი არსება, რომელსაც არსით შეგლა, არსით

გზა და იმედი არ მოეღოს, თუმცა იგი შეადგენს უმაღლესს არსებას ღმერთის განენილთა შორის — გვირგინის მთელის ბუნებისას!

ამ ყოფაში ჩაეცლა საწყალი გლეხი უტულმართ სოფლის ბრუნვას. შემეცოდა და ესთხოვე ჩემთან ერთად დამგდარიყო ფურუღუნზე, დამიგერა საწყალთა და დაჯდა ზედ, რომლის ვინაობაც მინდა, და მეტიც არ იქნება, გააცინო მკითხველს, თუმცა საუბედუროდ არც სახელი, არც გვარი, არც სოფელი მახსოვს მისი, რადგან ბარათი, საცა მისი ვინაობა მეწერა, დამეკარგა და ხსოვნამაც მიმტყუნა.

გოდერძიშვილი
(შემდეგი იქნება)

სახშპაროლ გასართობი

გოჯასპირ და ივანეა
გოჯასპირ. აბა, ივანეა, შენ გავითის კაცი ხარ, ვარგა ხანია, არა გამოვირინარა. რა ამანაკია ჰქეუხაწყ?

ივანეა. ცუდი, შენ ნუ მოუკვდე ჩემ თავს, სულ ბოლავა, ბატონო, მუშტო-ერეთი, ხანჯლები სუსურისი.

გოჯასპირ. კე სიერუკუ უნდა იყოს. დიდი ხანია, ჩქეუშა არაიენ მოუკვდათ...

ივანეა. ახლა ჩქეუნიდან სხვა ჰქეუქებში გადასულა მაგი სხვაიე თვისება. მთელ ჰქეუხანს გორანტლები ადის. რაკა ექნება, ბატონო, გოჯასპირ? სულ გძინავსო და მაკია. დღევრ გძინავსო, დამერ გძინავსო. რაკა ექნება, რომ არაფელს უგდებთ უურს?!

ივანეა. მართალია, მინა შიგ რომ არაფელი რიკინობს, აკია სხვაიე...
გოჯასპირ. რაო, რაო ივანეა? კკოთი გეცხლი რად მოკვდება? კარო, აღი-მუელი აკდის, განა ექნება კერე?

ივანეა. ჩქეუში ხომ კი იცი, რომ დღე-ნადაზე ჩსუბთა. ეჩსუბება ბატონო უმას, თავადი ახნაურს, ახნაური გელესი, გლეხი ერს, კრი განათლებულეს და განათლებულეები ერთმანეთს. ახლა აკი თვისება მოკვდა მთადად დონის, ივერობის რა უმხან, აქინერ კი გადასულა...

გოჯასპირ. შერე რა გამოკა მადეამ?



გოჯასპირ

ივანეა

ივანეა. რა გამოკა და ბოლოკი. ეკვლა ერთმანეთს დეკრეკიან და შეიქნება მუშტო-კრიკი.

გოჯასპირ. მაშინ ჩემო ივანეა მე და შენ ჩანგური მოკაწყობოთ და ზედ დაემღეროთ:

წამიადებულა წაკადე, სულ ეკვლას თაკი წაწვიტე...

ივანეა. ჩვენ ახლაც წაწვიტლიო გაკაქს, თუ კინმე დეინახავს, შენ ნუ მოუკვდე ჩემ თავს.

გოჯასპირ. ნუ იცი კე შენ, ივანეა, ზუსის აქლემად გაბაქრეკა, მამა ნუ წაიწყდება. თაკი როგორ გეკეს წაწვიტლიო? აბა, შემომხდე, ასეთი თაკი მზნა, რომ შინახის გოჯასპირ ჩამოუკვრდება.

ივანეა. მართალია, მინა შიგ რომ არაფელი რიკინობს, აკია სხვაიე...

გოჯასპირ. ცოტა მორიდებით ელანარაკე, თორემ მე ვიცი, შე ღვიტიკვლა იმერელიო. მკე შენ სმელს, კერე რომ ჩამოკეკანერებთა, თაკე დაკამტერეკე.

ივანეა. ახანერული ნრეტესხაა თქვენმა მშემე! მაგისთახან ჭადილი სტორთი ჩეხლების მატრაკვერთან მომაკრუნეს. აკისტინას იმპულატორას რომ შამოწყენ და ბზეუენ-ბზეუენი რომ დოუწყეს...

გოჯასპირ. კე კიდევ ჩეხები საიდან მოიკონ? სდაფური ჩეხები, რა ჩეხები?.. ექნება ა, ჩეხი სჩეხისა


ამაგი გინდა მამაგონო? შენმა მშენებელმა, ძველან კსწუხვარ. ეს ორა წელაა, დამქვან და ჭარ კიდევ კერ გამოკეთება; ცხურება მიწუღება სინაჯით.

ივანიკა. მე რაჯა გეგადრება მკაცრად უნდადინრობა. ჩეხება თურმე აკურტრას კომარინილებან. ერთი მექს ხალხი არიან, მარა ამ ბოლოს დროს რაღა ღმერთი გოუწერთ... ბურჯაქ, ბატონო, ბურჯაქ... ჩივიუბან ჩეხი საკუთარი მეფე უნდა იყო უნდა იყოო!! სხვისი სანახარი არ კიანდებართო. ძალიან რომ თურმე გააბეჭეს და ღად ჩამოუშებს, სტორეთ ისეთ დეივისეს ჩეხებმც, თურმე!...

გოჯასპირ. შერე შენ სად შეიტყე მკაცრად ხარბული ამბავი?

ივანიკა. იკურბა მამა წერია, ბატონო, გოჯასპირ. ჩეხებმა ისეთი და ისეთი... თუ ჩეხი არ იქნება, არცაფელს კვამთ და არცაფელს გსვამთო. ხარბული ბრეტენიკაა, თქვენმა მშენებელმა...

გოჯასპირ. და, ჩემო ივანიკა, ნურცა სმენ და ნურცა სწამენ. ისინი მოკვებთან შემხედით, თურმე მე და შენ მაინც კარგათ ვეჭებთ და კარგათც შეიქმნევით არტლას.



კრედიტი და მისი მნიშვნელობა

ჩვენი ხალხის ეკონომიკური მდგომარეობის წარმატებისათვის

Земля одинъ изъ факторовъ производства и основаніе народнаго богатства.
(კრედიტორი აქტივიზი)
„Никакое общество не можетъ пользоваться процвѣтаніемъ и быть счастливымъ, если большинство членовъ его бѣдно и несчастно.“
დ. სიტო.

(დასასრული *)

შითხეა მისი შესახებ, თუ რა გვარსაკრედიტორი დაწესებულებაში უფრო საჭიროებს ქართველი გრი, რანარი კრედიტი (სესხი) უფრო შეფერის ჩვენის სოფლის აწყო მდგომარეობას, ადვილად შეგიძლია გადასწავლით მაშინ, როდესაც განვიხილავთ, თუნდ მოკლედ, რუსეთში უკვე მოქმედ საკრედიტორი დაწესებულებათა რამდენიმე ფორმას, რომელნიც არსებობენ სოფლის სხვა-და-სხვა საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად.

გვრედწოდებული შემხველ-გამსესხებელი ამხანაგობანი, რომელნიც პირველად აღმოცენდნენ გერმანიაში შულტე-დლოისის თაოსნობით, ავერ კი ხანია არსებობენ. რამდენიმე ამისთანა ამხანაგობა ჩვენც გვყავს. შემხველ-გამსესხებელ ამხანაგობათა, რასაკვირველია, ბევრი კარგი სამსახური გაუწიეს ხალხს და დღესაც არ დაუკარგავთ მათ მნიშვნელობა და მოაქვთ სარგებლობა, თუმცა პირვანდელზედ შესამჩნევად ნაკლები, მაგრამ ამასთანავე ჩვენ არ შეგიძლია არ აღენიშნათ ის ნაკლულევენანები, რომელნიც შედეგია ამ ამხანაგობათა ორგანიზაციისა: *)

1) საზოგადოდ შემხველ-გამსესხებელ ამხანაგობის თანხა ძლიერ მცირეა და სესხი მოკლე ვადიანი, რის გამოც შეუძლებელი ხდება, რომ ამ ამხანაგობამ მეურ-

ნობის წარმატებას დაეხმაროს; 2) ზოგიერთები ბრალს სდებენ ამისთანა ამხანაგობებს, ვითომც ისინი ხელს უწყობენ ჩარხებს ლარიბების ექსპლუატაციაში; 3) მთელი ოპერაცია შენახველ ამხანაგობათა წარმოადგენს მხოლოდ მცირე ნაწილს ნამდვილის (Дѣйствит.) მოთხოვნილებისას კრედიტში; 4) გარდა ამისა, ყველა ცნობანი იმას გვიმტკიცებენ, რომ შემხველ-გამსესხებელ ამხანაგობათა, თუმცა ცოტადნად ჩამოსწიეს ძირს კერძო კრედიტის სარგებელი იმ ადგილებში, სადაც ისინი არსებობენ, მაგრამ სრულიად და შესამჩნევად მიანიც ვერ აღმოფხვრეს მოვანშეობა.

ამას დაუმატეთ ისიც, რომ აქ საჭიროა პაის (წილის) ფულის შეტანა, რის გამოც მცირე ნაწილი გლებთა ვერ შედის ამხანაგობაში და მაშასადამე ვერ სარგებლობს იქიდან სესხით.

ამ ნაკლულევენებათა გამო ძლიერსაიჭეოა, რომ შემხველ-გამსესხებელ ამხანაგობათა რაიმე დიდი სარგებლობა მოუტანონ ჩვენ მხარეს და კერძოდ დაიხსნან ჩვენის სოფლების მკვიდრი მოვანშეობა.

პროდუქტორი (სავაჭრო) ბანკები, როგორც არის ჩვენი სათავად-ანაჟორი ბანკები, თოვლაპირველად ასე იყო თუ ისე მიანიც ასრულებდნენ თავის დანიშნულებას, მაგრამ შემდეგ, რამდენადაც უფრო იზრდებოდა ვალო, რომელიც ირიცხებოდა ბანკებზედ, იმდენად ამ ბანკებს ეკარგებოდა თავისი მნიშვნელობა მიწათმფლობელთა და მიწათმოქმედთა კლასისათვის. როგორც დავგიმტკიცეა წარსულშია ცდამ ამ ბანკებიდან გატანალი სესხები თითქმის სრულიად არ მოხმარებია მეურნეობის გაუმჯობესობას. მაშასადამე, უნდა ვიფიქროთ, რომ ეს ბანკები სრულგვით არ ეხმარება მეურნეობის წარმატებას. რაც უნდა თქვან ასეთ ბანკების მომხრეებმა, იმათ მიანიც ამის დამამტკიცებელი საბუთი არა აქვთ. რაც შეეხება საგლებო საადგილ-მამულო ბანკს, რომლის დებულება

*) იხ. იკვალის № 38.
*) იხ. И. Білохъ. „Меліоративный кредитъ и состояніе сельскаго хозяйства въ Россіи и иностранннхъ государствахъ.“

უმალესად დამტკიცებულ იქნა 1882 წ. და რომლისაჲ მიზნით აქეს გაუადვილოს ყველა გლეხებს განურჩევლად მიწის ყიდვა, საქართველოში ჯერ არსად არის და კიდევ რომ იყოს, იგი ახლანდელის თავის ღირსებით შესაძენვე სარგებლობას ვერ მოუტანს მიწათ-მოქმედ გლეხებს, რადგან ამ ბანკის ორგანიზაციას ბევრი ნაკლებულეწენება ატყევი; იგი თბოულობს გადასხვაფერებას, განვითარებას.

ამ ბოლო დროს აღორძინდა ერთი ახალი ფორმა კრედიტისა. ეს ის კრედიტია, რომელიც დანიშნულია მიწის შემოშაფების განსაკარგებლად, ახალკულტურათა და საზოგადოდ სხვა-და-სხვა სამეურნეო გაუკეთებელათა შემოღობისათვის და იწოდება სამელიორაციო კრედიტად. რადგან ჩვენი ქვეყანა უმეტესად ხენა-თესვის, მიწვეწახობად და საზოგადოდ მეურნეობას მისდევს, ამიტომ უმთავრეს ჩვენ მიზანს უნდა შეადგენდეს სასოფლო მეურნეობის წარმატება, მისი განკარგება, საზრიან საფუძველზე დაყენება. ამ მიზნის განსახორციელებლად კი, ფეიქრობით, სამელიორაციო კრედიტი ერთადერთი უკეთესი საშუალებაა. ამისთანა კრედიტის საშუალებით მეურნეობა შესაძენვიად იპყრეს მალა, დღეს გამოფიტულ მიწას მაწარმოებელი ძალა მოემატება და, მაშასადამე, მისი შემოგადოვლად გამზადალკლება, აქედან მიწათმფლობელთა ქონებაც ერთი-ორად და მამად გაიზრდება და დასახსულად, ყოველ ამას თავის შედეგათ ის მოჰყვება, რომ ჩვენი ერთი აქვალბეულ იქნება იმ მოკონებას, რომელიც მთლად ანადგურებს, ძირს უთხრის და აფერხებს მის ეკონომიურ კეთილდღეობას, ესე იგი მიწათ-მფლობელობა ფებს მოიკიდებს მაგრად და წინაპართა ის მამულ-დელდელი, რომელსაც ახლა ასე ადვილად ეთხოვება ჩვენი თავიდანაურთობა და გლეხ-კაცობა, ქართველებისაჲე საკუთრება იქნება და სხვის ხელში აღარ გადავა. *)

რუსეთში, როგორც სახელმწიფო, აგრეთვე ერობანი სხვა-და-სხვა დროს ხმარობდნ და ახალკ ხმარობენ სხვა-და-სხვა საშუალებას სასოფლო მეურნეობის განსაკარგებლად, მაგრამ სპეციალური დაწესებულებებანი-კი სამელიორაციო კრედიტისათვის აქ აქამომდე არ არსებობს, თუმცა იმისთანა ფორმები კრედიტისა, რომელიც მისაწვდომია მიწათ მფლობელთა და მიწათ მოქმედთათვის, აქ დიდი ხანია, რაც მოქმედებენ.

პოლშაში-კი გამართულია უკვე ბანკი, რომელიც იძლევა სესხებს სხვა-და-სხვა მელიორაციებისათვის. პოლშის ბანკი იძლევა სესხებს: 1) სამიწათ-მოქმედი იარაღების მოსაპოვებლად, 2) მიწის ვასაპოხიერებლად (удобрение), 3) შინაურ პირუტყვეების საყილათად, 4) შენობების ასაგებლად იმ გვარ მასალებისაჲ, რომელსაც ცეცხლი არ ეკიდება, 5) სამრეწველო ქარხნებისათვის, სასმელების სახილდ აპარატებისათვის და ორთქლით საშუალებელ მანქანებისათვის და 6) მისასტელელ (подъездных) გზების გასაკეთებლად *).

გარდა სამელიორაციო კრედიტისა, რომელიც მოხმარდება მეურნეობას, ჩვენ გლეხ-კაცობისათვის საქირაო კიდევ ერთნაირი ფორმა კრედიტისა—იგივე წერილი კრედიტი, რომელსაც შეუძლია დიდი შემწეობა აღმოუჩინოს გლეხ-კაცობას სხვა-და-სხვა გაჭირების დროს და უმთავრესად კი დაიხსნას იგი მოვანშეს ყოველ შემძლებელ ხელიდან. ამ მიზნით ძლიერ კარგი იქნება, ჩვენ სოფლის თითოეულმა საზოგადოებამ ცალკე გაიზინოს „სასოფლო ბანკი“, რომლის დებულება შემოწმავიებულ იქნა 1885 წელში. ესეთი ბანკები, ჩვენი აზრით, უფრო ეთანაბრება და უფრო დააქაყოფილებს გლეხთა მოთხოვნილებებს კრედიტებში. ამ ბანკების კარგი მხარე იმაში მდგომარეობს, რომ აქედან შეუძლია ასესხოს ფული ყოველ გლეხს, რომელსაც შეუძლია შრომა და საზოგადოდ სესხის დაბრუნება, ენერჯება პას შეტანა, როგორც ეს არის შეწახებულ-გამსესხებულ კასებში, აქ საქირაო არ არის. სხვა იგი იყოს რა, „სასოფლო ბანკებს“ შეუძლიათ ერთ მხრივ-დიდი სარგებლობა მოუტანონ გლეხ-კაცობას. უტყველია გეკონდენებათ, თუ როგორ სადღება სოფლის სხვა-და-სხვა ნაწარმოებთა და ქირანახული. რადგან ჩვენი მაწარმოებელი სოფელი მოკლებულია არამც თუ იგივე, არამედ ყოველივე საზოგადო კრედიტს, ამიტომ იგი იძულებულია გაჰყიდოს თავისი ნაწარმოები—პური, ლენო, სიმინდი და სხ. მაშინვე, როგორც-კი მოჰკრეფს ე. ი. შემოდგომას, რაცა იმას დღიად ესაჭიროება ფული, ეს გარემოება კი ქმნის ისეთ პირობებს, რომ შემოდგომას ბაზარში გატანად საქონლის რაოდენობა შესაძენვიად მატულობს და ამიტომ ამის თანახმად ნაწარმოებთა ფსაც კლებულობს. შემდეგ, ვაზაფულის დამდევს, რადგან შენახული ქირანახული არ ჰყოფის მიმელ წლის განმავლობაში, გლეხი თვით ყიდულობს თავის საქიროებთა დასაქაყოფიებლად სოფლის ნაწარმოებს ერთი ორად უფრო ძვირად, (ფასები ამ დროს მატულობს). ამ სახით, ჩვენი გლეხი ძლიერ ბევრს ჰკარავს. აი, ამ თანთანა საყრდელთა დაწესებულებებს, როგორც არის „სასოფლო ბანკი“ და ამასთანავე ელექტორებსაც, რასაკვირველია, შეეძლია კარგი სამსახური გაეწიას ჩვენ გლეხ-კაცობისათვის მით, რომ გლეხს საშუალებას მისცემდა არ დაეტარებია თავის ნაწარმოების გასაღება და მიეცა იმ დრომდე, ვიდრე მასზედ ფასები იაფივდებ.

მითხველი უტყველია, დამკითხება, ეს ყოველივე კარგი, მაგრამ საქმეში-შინა, როგორ მოეაწყოს ან სამელიორაციო გასაშუალებებელი კრედიტი ან „სასოფლო ბანკები“ 1885 წ. ტიპისა და საშუალებით გამართოთ? ეს კითხვა არც ისე ძნელი გადასწყვეტია, როგორც გვეჩინა. ჩვენი ში, საერო დაწესებულებათა უკონლობის გამო, სადავლო-მამული ბანკების, ტუილისისა და ქუთაისისაჲ, უნდა იტვირთოს ეს ზნეობრივი მოვალეობა. ერთი და მეორეც მათთვის მოსახერხებელია. ამ ბანკებს ცოტა თუ ბევრი თანხა მაინც მოეძენება, ისინი აგრე კი ხანია მოქმედებენ და საფუძველი უკვე გამაგრებული აქვთ, მაშასადამე ახლა საქირაო მხოლოდ თავის წინანდელ ოპერაციებთან ერთად იწყონ სესხების გაცემა სხვა-და-სხვა

*) სამელიორაციო კრედიტის დაწესებულებით განვიხილავს ჩვენ შემდეგ ცალკე წიროს ვუძღვნი.

*) იხ. Н. Блюхт „Мелиорационный кредит“

მელიორაციისათვის (გაუმჯობესებისათვის) თუნდ პირველ ხანებში შიგოლოდ უსაჭიროეს სამეურნეო გაუმჯობესობათა განსახორციელებლად, იმავე ბანკებს შეუძლიათ „სასაფლო ბანკების“ დასაარსებლად მისცენ ცხსად უძრავ მამულთა დევიდრავებლად საჭირო კაპიტალი. ეს მით უფრო ადვილია, რომ ამის უფლება ტფილისის ბანკმა ახლანა მისიხვევა კიდევ და ქუთაისიც ახლა შეუძლებლობას: ტფილისის ბანკს ნება მიეცა უფროად სესხი მისცეს ქალაქებს, საზოგადოებებს და ცრობებს. ეგეთი ოპერაციები დიდ სარგებლობას მოუტანს ორივე მხარეს, როგორც სოფლის საზოგადოებებს—მსახსებებით, აგრეთვე საადგილ-მამული ბანკებს—სესხის მიმცემთ.

„სასაფლო ბანკების“ ზემელიორაცია (გასაუმჯობესებელ) კრედიტის მოსაწყობად ჩვენ გვაქვს კიდევ ერთი საშუალება. მოგვესწინებათ, ტფილისის გუბერნიატორმა თ. გ. შერვაშიძემ ამ სამი წლის წინად განიზრახა გაეჩინა სოფლად გლეხ-კაცობისათვის ომოდენა თანხა, რომლის მართა ერთის სარგებლით სოფელს შეეძლოს დასამყაროლოს ყველა თვისი საზოგადოება საჭიროებანი, როგორც არის მავ. სასწავლებლების დაარსება, გზა ბოგირების გაკეთება, ადგილ-მამულების შექმნა, სამეურნეო იარაღების და კაი ჯიშის საქარნლის გაჩენა, სახეი მწიფო და ადგილობრივ ხარჯებს განსტუმრება და ბევრი სხვა ამ გვარი. ეს განზრახვა მალე საქმედ იქცა. მაშინვე მთელ ტფილისის გუბერნიის გლეხ-კაცთა შორის იწყეს წერილ-წერადად პურის მოგარება და შემდეგ ნაწილი მოგროვებულ პურისა ფულად აქციეს. პირველ იანვრისათვის 1893 წლისა რაოდენობა ამ თანხისა პურით და ფულით იყო შემდეგი: ძვილი თესლი — 189,6991/2 ფუთი ახალი თესლი — 66,9131/2 ფ. და ფულად — 409,648 მან. ხორბალი რომ ფულად ეიანგარიშით და მიეუმართო უკანასკნელ ციფრს, სრული ჯამი ნახევარ მილიონი მანეთს გადაამეტებს (იხ. „ივერია“ № 146, 1893 წ.).

ტფილისის გუბერნიის გლეხ-კაცობისაგან მაგალითი აიღო კახეთის თეად-აზნაურობამაც, რომელმაც წელს გადაწყვიტა გაეჩინოს ყოველმედიოური გადასახად იმისთანა კაპიტალის შესადგენად, რომელიც უნდა მოხმარდეს მეურნეობის წარმატებას და საზოგადოდ ქვეყნის სხვა-და-სხვა საჭიროებას. ამ ორნაირ თანხას, თეად-აზნაურობისა ზღვებს-კაცობი-

სას, შეუძლია ემსახუროს სხვათა შორის ჩვენის მიზნის განხორციელებას. იმათი საშუალებით ჩვენ ბევრი დიდი საქვეყნო საქმე შევიძლია დავატარალოთ, მაშასადამე, საჭიროა საკრედიტო დაწესებულებანიც გაეიჩინოთ.

აქ ვათავებთ ჩვენ წერილს. ერთხელ კიდევ რომ გადავავლოთ თვალი ჩვენ ეთარებას, ცხადით დავრწმუნდებით, რომ კრედიტო დევიდენტის ჩვენის ცხოვრების ერთ აუცილებელ საჭიროებას შედეგს რომლის დაუქმყოფილებლობას შეუძლია ძლიერ გავანოს. მოთხოვნილება კრედიტში, როგორც ზემოდ თქმულიდან დადინახეთ, ძლიერ დიდია ჩვენში. ჩვენ კარგად ვიცით, რომ გლეხების განათავისუფლებანი ძირითულად შესცვალა პირბანდი როგორც მებატონეთა, ისე გლეხთა მეურნეობისა. ერთი მხრით, მებატონეებს დასჭირდათ დიდი ფული, რათა თავისი მეურნეობა დაეყენებიათ ახალ საფუძველზე: საჭირო იყო ფული დაქირავებულ მუშათა გასასტუმრებლად, ახალ უქეთვის სისტემის სამეურნეო იარაღების შესაძენად და სხ. და სხ. მეორე მხრით, საღვებო რეფორმას შემდეგ გლეხებსაც ეს საჭიროება ფულებში მეზად გაუძვირდათ წინა დროისთან შედარებით. საადგილ-მამული ბანკები, როგორც ესთქვით, კარგადაც რომ წავიდეს მათი საქმე, მაინც დიდად ვერ დაეხმარება ჩვენ პირობებში მიწათ-ფლობელობას, მეურნეობას, მიწათ-მოქმედებას. სხვა ნაირი ბანკები ან სოფლიად არ გვაქვს, ან თუ არის (შენახა. ვამიხს. კასები) უფარგისა ჩვენის თავის ორგანიზაციის გამოისობით. დავეჩრენა მხოლოდ ერთად-ერთი საშუალება, რომელიც, ჩვენის ფიქრით, უფრო გამოსადედა და ფრიად სასარგებლოა დღეს ჩვენთვის, ესე იგი ჩვენ უნდა გაეიჩინოთ სამელიორაცია კრედიტო და დავამართოთ „სასაფლო ბანკები“ 1888 წ. ტიპისა. ამ საქმეს ხანდაზმულობა აღარ საჭიროა. ხშირად მოხდება ხოლმე, რომ თუ რომელსამე საზოგადო სენს დროით არ ეშველა საიდანმე, იგი შემდეგ ისეთ რთულ ხასიათსღებულობას, ისეთი შედეგები მოსდევს მას, რომელთა გასწორება ან სრულიად შეუძლებელია, ან არა და ძლიერ საძნელო მინიც არის. სანამ ურემე გადარუნდებოდეს, მანამდე უნდა ეთიქართო რამე, თორემ გადაბრუნდებით ურემს არც შემდეგ ნაპოვნი გზა უშველის და არც აღარაფერი.

გ. გველესიანი.

რედაქტორ-გამომცემელი ან. თ.-წერეთლისი.

ბანსხალბანი

დაბიეჯდა მესხეთ სომერო

„ჯაჯილი“-სა

და ამ დღეებში დაურთიგდებათ სელის მოქვერდებს.

კვირას 19 სექტემბერს დილის 11 საათზე, თეად-აზნაურთა ბანკის სადგომის დარბაზში მოხდება

წლიური კრება

ქართველთა დრამატულ საზოგადოების წევრთა: საგანნი განხილვისა:

- 1, წლიური ანგარიში საზოგადოების მოქმედებისა.
- 2, მომავლის წლის საჯაროადი ხარჯთ-აღირსება.
- 3, ამორჩევა კომისიებისა.
- 4, მორჩევა ახალთა წევრთა.